



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 ივნისი 2024



N 296/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაკვანეთში ფ/პ ნიკოლოზ მამინაშვილის მიერ სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფ/პ ნიკოლოზ მამინაშვილის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაკვანეთში სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაკვანეთში ნიკოლოზ მამინაშვილისა და ბადრი მამინაშვილის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.14.11.140 ფართობი-0,5 ჰა) დაგეგმილია 3000 ერთეული შავი მოცვის ნერგის გაშენება, ხოლო ნარგავების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მიზნით საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სამელიორაციო სისტემის მოწყობა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიაზევე, ხოლო წყალაღების წერტილიდან დაშორებულია დაახლოებით 70 მეტრით. ზედაპირული წყლის ობიექტი, უსახელო დელე (მდ. ბჟუჟის შენაკადი) საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 7 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მოცვის ნერგების მოსარწყავად წყალაღება განხორციელდება ე.წ. დელეწყლების და მდინარე ბჟუჟის ფილტრატებიდან 1 კვტ/სთ სიმძლავრის მქონე ელექტრო ტუმბოს საშუალებით, შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-253831.1341, Y-4643546.2053. უსახელო დელეს კალაპოტიდან წყლის ამოღება განხორციელდება წყალშემკრები ორმოს (ჰის) მეშვეობით, საიდანაც წყალი ფერტიგაციის რეზერვუარამდე (X-253788.0978; Y-4643500.8350) მიყვანილი იქნება 63 მ სიგრძის მიწისქვეშა მილსადენით, რომელიც განთავსდება 10 სმ სიღრმისა და 20 სმ სიგანის ტრანშეაში ელექტროკაბელთან ერთად. ფერტიგაციის რეზერვუარიდან მოცვის ნარგავებამდე წყლის მიყვანა განხორციელდება მაგისტრალური (D-25 მმ, L-500 მ) და რიგთაშორისი სარწყავი მილებით (D-12 მმ, L-500 მ). მილების ჩალაგების შემდეგ ტრანშეა შეივსება ამავე ტრანშეიდან ამოღებული მიწით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, მოცვის ბაღების მორწყვა დაგეგმილია სეზონურად, წელიწადში 3 თვის განმავლობაში (ივნისი-აგვისტო). დოკუმენტის თანახმად, დლე-ლამეში უსახელო დელის ფილტრატებიდან მაქსიმალური წყალაღება შეადგენს 18 მ³ -ს (თვეში 72 მ³), ხოლო წლის განმავლობაში ამოღებული იქნება 216 მ³ წყალი. მოცემული რაოდენობით უსახელო დელის ფილტრატებიდან წყლის ამოღებით ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, პროექტით განსაზღვრული სამუშაოების ფარგლებში სამშენებლო ბანაკის ან/და მისასვლელი გზების მოწყობა დაგეგმილი არ არის. სამელიორაციო სისტემის შემადგენელი ძირითადი და დამხმარე მილების მოწყობა არ საჭიროებს მასშტაბურ სამშენებლო

სამუშაოებს. სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება დღის საათებში, გაგრძელდება დაახლოებით 5-7 დღის განმავლობაში და დასაქმდება დაახლოებით 5-8 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით აღნიშნული სამუშაოებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპი, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით აღნიშნული სამუშაოების პროცესში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. რაც შეეხება სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპს, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება წყალაღების წერტილში განთავსებული 1 კვტ/სთ სიმძლავრის მქონე ტუმბო. აღნიშნული ტუმბოს მცირე სიმძლავრისა და წყალაღების წერტილიდან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას, გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და იგი არ წარმოადგენს ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელ საარსებო გარემოს. აღსანიშნავია, რომ სამელიორაციო სისტემის მოწყობა არ ითვალისწინებს მრავალწლიანი ხე-მცენარეული საფარის ჭრას. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია ერთეული ბუჩქოვანი მცენარეები და დეგრადირებული ბალახოვანი საფარი შესაბამისად, საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

არსებული ინფორმაციის მიხედვით, წყალაღების წერტილის მიმდებარედ არ ფიქსირდება სხვა წყალმოსარგებლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაკვანეთში ფ/პ ნიკოლოზ მამინაშვილის მიერ სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. ფ/პ ნიკოლოზ მამინაშვილი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ ნიკოლოზ მამინაშვილს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ ნიკოლოზ მამინაშვილის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

